

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2012 წლის 10 იანვარს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

- *ბუხარატის სომხეთის წინააღმდეგ – განაცხადი №37819/03*
- *ცატურიანის სომხეთის წინააღმდეგ – განაცხადი №37821/03*

აპლიკანტები სომხეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1980 წელს და ცხოვრობენ ერევანში (სომხეთი). 2003 წლის აპრილს განმცხადებლები დააპატიმრეს და მიუსაჯეს 2 წლიანი პატიმრობა, რადგან მათ უარი თქვეს სამხედრო სამსახურში წასვლაზე იაღოვას მოწმეთა რელიგიური ორგანიზაციის წევრობის გამო. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ მათ წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-9 მუხლი.

სასამართლომ ორივე საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს დაეკისრა თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ 6000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 4000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *Standard Verlags GmbH ავსტრიის წინააღმდეგ – განაცხადი №34702/07*

აპლიკანტი კომპანია არის შპს, რომელიც დაფუძნებულია ვენაში და ფლობს ყოველდღიურ გაზეთს – *Der Standard*-ს. საქმე ეხება 2006 წლის აპრილს ამ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც საუბარი იყო ბანკ *Hypo Alpe-Adria*-ს სპეკულაციურ მაქინაციებზე, რამაც უდიდესი დანაკლისი გამოიწვია და შემდგომში გაფლანგვისათვის ჩატარებულ სისხლისსამართლებრივ გამოძიებაზე ბანკის უმაღლესი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. აღნიშნული ბანკის ხაზინის ხელმძღვანელმა აპლიკანტი კომპანიის წინააღმდეგ აღძრა საქმე გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში ბანკის სახელის გამჟღავნების გამო და შედეგად 5000 ევროს ოდენობის კომპენსაციაც მიიღო. განმცხადებელი კომპანია ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-10 მუხლი. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 7.602.12 ევროს გადახდა მატერიალური ზიანის გამო, ხოლო 4.500 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *ჰაჯილი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №6984/06*
- *კერიმლი და ალიბეილი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №18475/06 და №22444/06*
- *მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ – განაცხადი №4641/06*

აპლიკანტები აზერბაიჯანის მოქალაქეები არიან და ცხოვრობენ ბაქოში. ბატონები კერიმლი და ალიბეილი ცნობილი პოლიტიკოსები არიან. განმცხადებლები, რომლებიც ოპოზიციური პარტიების კანდიდატები არიან, ჩივიან 2005 წლის ნოემბერს ჩატარებული საპრლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმების გამო, რომელშიც მათი მტკიცებით, უპირობო გამარჯვება მოიპოვეს თავიანთ რეგიონებში. ისინი ასევე ჩივიან, რომ

ნაციონალურ პარლამენტში ჩამოერთვით ადგილები ოპოზიციური კუთვნილების გამო. განმცხადებლები მიუთითებენ კონვენციის პირველი ოქმის III მუხლის დარღვევაზე.

სასამართლომ სამივე საქმეზე დაადგინა პირველი ოქმის III მუხლის დარღვევა.

სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით – ბატონებს ჰაჯილისა და მამადოვს ცალ-ცალკე მიეკუთვნათ 7.500 ევრო არამატერიალური, ხოლო 1.600 ევრო მატერიალური ზიანის გამო; ბატონ კერიმლის მიეკუთვნა 20.000 ევრო მატერიალური ზიანის, ხოლო კერიმლისა და ალიბეილის ერთობლივად 7.500 ევრო არამატერიალური ზიანის გამო და ასევე, 3000 ევრო ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- **ბისერ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №32662/06**

აპლიკანტი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1951 წელს და ცხოვრობს იამბოლში (ბულგარეთი). მან განაცხადა, რომ 2004 წლის აპრილს სუპერმარკეტის მეპატრონემ და მენეჯერმა არყის ბოთლის ქურდობის გამო სცემეს, რის შედეგადაც განმცხადებელს მიყენდა ფიზიკური დაზიანებები, კერძოდ – მძიმე სისხლჩაქცევები და 10 ნეკნის მოტეხილობა. აღნიშნული საქმე ეხება მის საჩივარს არაჯეროვნად ჩატარებული გამოძიების თაობაზე, რადგან ის ორი პიროვნება, რომელთა მხრიდანაც განხორციელა მასზე თავდასხმა, არ დასჯილა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის არაეფექტური გამოძიების გამო. სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის გამო, ხოლო 1.000 ევროს გადახდა ხარჯების და დანახარჯების დასაფარად.

- **შაჰანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ – განაცხადი №16391/05**

აპლიკანტი ბულგარეთის მოქალაქეა, დაიბადა 1977 წელს და ამჟამად სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი პლოვდივის ციხეში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისა და მკვლელობის გამო. საქმე ეხება მის საჩივარს ვარნას ციხეში 2002 წლის დეკემბრიდან 2009 წლის თებერვლამდე პერიოდში ყოფნისას არსებული პირობების თაობაზე. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. აპლიკანტი ასევე ჩივის იმაზე, რომ ვარნასა და პლოვდივის ციხეებში ყოფნის პერიოდში მას ხელს უშლიდნენ თავის ადვოკატთან კონტაქტში, მოწმდებოდა მათ შორის მიმოწერა და ისმინებოდა სატელეფონო საუბრები, რითიც დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა გაჭიანურებით, რაც განმცხადებლის მტკიცებით კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევას წარმოადგენს. და ბოლოს, აპლიკანტის აზრით მის მიმართ ასევე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, კონვენციის მე-13 მუხლი მე-3 მუხლთან მიმართებაში, კონვენციის მე-8 მუხლი, კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და კონვენციის მე-13 მუხლი მე-6 მუხლის I ნაწილთან მიმართებაში.

სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 7.000 ევრო არამატერიალური, ხოლო 2.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• დი მარკო იტალიის წინააღმდეგ – განაცხადი № 32521/05

თავის ძირითად განჩინებაში სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნულ საქმეზე დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი განმცხადებლისათვის არაადეკვატური კომპენსაციის გადახდის გამო, რომელიც მიწის უკანონო ექსპროპრიაციის შედეგად დაენიშნა მას. სასამართლომ დაადგინა, რომ საკომპენსაციო თანხა 6.5-ჯერ ნაკლები იყო იმ თანხასთან შედარებით, რაც ექსპერტებმა შეაფასეს მიყენებული ზარალიდან გამომდინარე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მხედველობაში არ მიიღეს ის ფაქტი, რომ ექსპროპრიაციის შედეგად ბატონ დი მარკოს ჩამოერთვა „ვაჭრობის საშუალება“, რაზედაც დამოკიდებული იყო მისი არსებობა.

ამუამინდელი განჩინებით სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 250.000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ მატერიალური და არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 10.000 ევრო – ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• გ.რ. ჰოლანდიის წინააღმდეგ – განაცხადი №22251/07

აპლიკანტი გ.რ. ავღანეთის მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ცხოვრობს ზეტერმერში (ჰოლანდია). ჰოლანდიაში იგი ჩამოვიდა 1997 წლის დეკემბერს თავის ცოლთან და ორ შვილთან, რომლებიც ასევე ჩამოვიდნენ ავღანეთიდან ხუთი თვით ადრე. თავშესაფრის მიცემის მოთხოვნებზე უარის შემდეგ, მან მიმართა საცხოვრებლის უფლების მიცემის თაობაზე იმ მიზეზით, რომ მის ცოლსა და ორ შვილს უკვე მინიჭებული ჰქონდათ ჰოლანდიის მოქალაქეობა. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მას უარი ეთქვა სავალდებულო ადმინისტრაციული გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე, რაც აუცილებელი იყო იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც მისთვის ცხოვრების უფლების მიცემას ეხებოდა. თანხა შეადგენდა 830 ევროს, რომლის გადახდის შესაძლებლობაც განმცხადებელს არ ჰქონდა. სასამართლომ აღნიშნული განაცხადი განიხილა კონვენციის მე-13 მუხლიდან გამომდინარე.

სასამართლომ დაადგინა, რომ წარმოდგენილ საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი (ქმედითი სამართლებრივი მისაგებელი). რაც შეეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, სასამართლომ განმცხადებლის მოთხოვნა ამ ნაწილში უარყო.

• პოპოსკა პოლონეთის წინააღმდეგ – განაცხადი №33530/06

აპლიკანტი დანუტა პოპოსკა პოლონეთის მოქალაქეა, დაიბადა 1951 წელს და ცხოვრობს ელბლაგში (პოლონეთი). ქალბატონი პოპოსკა ჩაერთო ხანგრძლივ დავაში თავის მეზობელთან, რომელსაც შედეგად მოჰყვა რამდენიმე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. ეს საქმე ეხება განმცხადებლის მტკიცებას იმის თაობაზე,

რომ სასამართლო, რომელიც იხილავდა სისხლის სამართლის საქმეს არ იყო მიუკერძოებელი, რადგან სხდომას თავმჯდომარეობდა მოდავე მეზობლის ძმა. განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად.

- **ბ. რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №42390/07**

აპლიკანტი ქალბატონი ბ. რუმინეთსი მოქალაქეა, დაიბადა 1958 წელს და ცხოვრობს ბუჰუში. ის დააგადებულა ფსიქიური აშლილობით და იძულებითი წესით მოთავსებულ იქნა სხვადასხვა საავადმყოფოების ფსიქიატრიულ განყოფილებებში 2000-2008 წლების განმავლობაში. 2006 წელს მან სიტყვიერი საჩივრით მიმართ პოლიციას დ.-ს წინააღმდეგ გაუპატიურების ბრალდებით. მან უარი განაცხადა გინეკოლოგიურ შემოწმებაზე, ამტკიცებდა, რა რომ იგი იყო გაუპატიურების მცდელობის მსხვერპლი და არა თავად გაუპატიურების აქტისა. გადაწყვეტილების თანახმად სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ედგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიება, რომელიც მისი გაუპატიურების მცდელობას ეხებოდა, არაეფექტური იყო.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არაეფექტური გამოძიების გამო და განცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა.

- **კრისტესკუ რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №13589/07**

აპლიკანტი იოან კრისტესკუ რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1959 წელს და ცხოვრობს ბუჟარესტში. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ვერ მოხერხდა ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის თანახმაც მას მიენიჭა თავის ვაჟთან (დაბადებული 1996 წელს) ურთიერთობის უფლება. აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო მას შემდეგ, რაც განმცხადებელი და მისი მეუღლე განქორწინდნენ 2001 წელს. 2002 წელს ბატონ კრისტესკუს მიენიჭა თავის უფროს შვილზე (დაბადებული 1992 წელს) აპეკუმობის უფლება, მაგრამ მისი უცროსი შვილი, რომელიც 1992 წელს დაიბადა, დარჩა დედასთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

• როშიორუ რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №37554/06

აპლიკანტი სილვიუ როშიორუ რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1967 წელს და ცხოვრობს ბუზაუში. 2000 წლის იანვარს, ბარში შესვლისას, მან დაინახა პოლიციის ექვსი ოფიცერი სპეციალური შეიარაღებით, რომლებმაც მოიხსნეს ნიღბები. განმცხადებელმა ისინი ტერორისტებად მიიჩნია, რის გამოც პოლიციელებმა მას ხელბორკილები დაადეს, ხელკეტებით სცემეს და წიხლები ურტყეს. ამის შემდეგ ის პოლიციის ფურგონში ჩასვეს განყოფილებაში წასაყვანად. გზად მას გონების დაკარგვამდე სცემეს. წერილმანი ხულიგნობის, ბარის პერსონალის შეურაცხყოფისა და პოლიციის ოფიცრებისათვის ვინაობის გაუმხელობისა და დაუმორჩილებლობის გამო აპლიკანტს დააკისრეს ჯარიმა და გამოუშვეს. ბატონი როშიორუს მეუღლემ საჩივრით მიმართა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მოხდარის თაობაზე. გამოძიება დაიწყო და გაგრძელდა რვა წელზე მეტ ხანს და საბოლოოდ დაიხურა, რადგან ამოწურული იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ვადები. განმცხადებელი მიუთითებს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევაზე პოლიციის მხრიდან განხორციელებული შეურაცხყოფისა და არაეფექტური გამოძიების გამო.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 12.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 5.300 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• შერბანი რუმინეთის წინააღმდეგ – განაცხადი №11014/05

აპლიკანტი ბოგდან შერბანი საფრანგეთის მოქალაქეა, დაიბადა 1968 წელს და ცხოვრობს ბეზონში (ვალ დ'ოიზე). 2002 წლის 22 სექტემბერს, ბუქარესტის პარკში ორმა ადგილობრივმა პოლიციელმა ბატონ შერბანს მოსთხოვეს პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა ინსპექტირების მიზნით, მას შემდეგ რაც პოლიციელების ყურადღება მიიქცია განმცხადებელმა და მისმა მეგობარმა გოგონამ, რომლებიც საზოგადოებრივ პარკში მდგარ სკამზე უწესო პოზაში იყოფებოდნენ. როდესაც განმცხადებელმა უარი განაცხადა პირადობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენაზე, პოლიციელებმა პარკში არსებული დისკოტეკიდან მოიხმეს დაცვა და იგი დააკავეს. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი დისკოტეკის დაცვის წარმომადგენლების მიერ, რადგან ისინი არაადამიანურად ეპყრობოდნენ მას პოლიციელების წაქეზებით. შემდგომში იგი მიუთითებს არაეფექტურად ჩატარებულ გამოძიებაზე, რომელიც აღიძრა მისი საჩივრების საფუძველზე. განმცხადებელი ჩიოდა პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობაზე, შეურაცხყოფასა და გაძარცვაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 10.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 4.300 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

- *არუტუნიათა რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №48977/09*
- *სახვაძე რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №15492*
- *ვლადიმერ ვასილიევი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №28370/05*

აპლიკანტები არმენ არუტუნიათა, თეიმურაზ სახვაძე და ვლადიმერ ვასილიევი რუსეთის მოქალაქეების არიან, დაიბადნენ 1970, 1975 და 1953 წლებში. ამჟამად ისინი პატიმრობაში არიან სხვადასხვა დანაშაულობების გამო – მკვლელობა, გაუპატიურების მცდელობა და მკვლელობის მცდელობა. ამას გარდა მათ აწუხებთ ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა. ბატონი არუტუნიათა ინვალიდის სავარძელით გადაადგილდება, დაქვეითებული აქვს მხედველობა, ვერ ხერხდება თირკმლის გადანერგვა, აწუხებს სიმსუქნე და დიაბეტის მძიმე ფორმითაა დაავადებული. ბატონ სახვაძეს დაზიანებული აქვს ზურგის ტვინი, დაავადებულია ტუბერკულოზით, აწუხებს კუჭის, ღვიძლის და თირკმელის მწვავე ტკივილი. ასევე, დაქვეითებული აქვს მხედველობა, წართმეული აქვს მეტყველება, რადგან ღრძილების ღპობის გამო ენის ნახევარი მოკვეთილი აქვს. ბატონ ვასილიევს გაყინვის შედეგად მოკვეთეს ფეხის ტერფი და მარცხენა ფეხი, ასევე, დაავადებულია ტუბერკულოზით და დიაბეტით. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, კერძოდ უარი ეთქვათ შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე. ასევე განმცხადებლები ჩივიან კონვენციის მე-5 მუხლის I და III პუნქტებისა და მე-6 მუხლის I პუნქტის დარღვევაზე.

არუტუნიათა შეთხვევაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის და მე-5 მუხლის I ნაწილის დარღვევა, ხოლო კონვენციის მე-5 მუხლის III ნაწილი არ მიიჩნია დარღვეულად. სახელმწიფოს დაეკისრა 15.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სახვაძის შეთხვევაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. სახელმწიფოს დაეკისრა 9.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად და 5.000 ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

ვასილიევის შეთხვევაში სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის და მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა. სახელმწიფოს დაეკისრა 9.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- *სოკურენკო რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი № 33619/04*

აპლიკანტი იგორ სოკურენკო რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ირკუტსკის რეგიონის ქალაქ ბრატსკში. განმცხადებლის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე ყჩაღობისა და იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით. საქმე ეხება მის საჩივარს იმის თაობაზე, რომ 2004 წლის იანვარში წინასწარი დაკავების საკანში ყოფნისას იგი სცემა ციხის ბადრაგმა. აღნიშნულის თაობაზე მან შესაბამის ორგანოებს საჩივრით მიმართ და მოითხოვა გამოძიების ჩატარება. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საფუძველზე ჩატარებული არაეფექტური გამოძიების გამო. 2004 წლის დეკემბერში მას მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. რამდენიმე თვის შემდეგ იგი გაათავისუფლეს, რადგან სასჯელის ვადის უმეტესობა განაჩინის გამოტანამდე უკვე მოხდილი ჰქონდა. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის III და IV პუნქტები.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის, მე-5 მუხლის III და IV ნაწილი. სახელმწიფოს დაეკისრა 18.000 ევროს გადახდა აპლიკანტის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

• ვულახი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №33468/03

ოთხივე აპლიკანტი რუსეთის მოქალაქეა. ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთი პიროვნების მშობლებსა და შვილებს, რომელიც ეჭვმიტანილი იყო როგორც კრიმინალური სინდიკატის ხელმძღვანელი და 2002 წლის მარტში თავი მოიკლა. მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის განხილვა თვითმკვლელობის გამო შეწყდა, ხოლო მისი თანამონაწილეები 2002 წლის ოქტომბერში დამნაშავედ სცნეს მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულობების ჩადენაში. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის თანახმად, აპლიკანტების გარდაცვლილი ნათესავი შეიარაღებული კრიმინალური ბანდის ლიდერი იყო და თავისი ბანდის წევრებს ფულს უხდიდა დანაშაულის ჩასადენად. დაზარალებულთა მხრიდან აღძრული სამოქალაქო სარჩელების განხილვისას, სასამართლოებმა, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე დაყრდნობით, გარდაცვლილის საკუთრებაში არსებული რძის გადამამუშავებელი ქარხნიდან მიაკუთვნეს უმცირესობათა წილის უდიდესი ნაწილი მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ. აღნიშნული ქარხანა მემკვიდრეობით ერგოთ აპლიკანტებს ნათესავის გარდაცვალების შემდეგ. განმცხადებლებს მიაჩნიათ, რომ მათი გარდაცვლილი ნათესავის შემთხვევაში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის II ნაწილი, რადგან გარდაცვალების შემდეგ საქმე შეწყდა და შესაბამისად, მის მიმართ საბოლოო განაჩენის დადგენა ვერ მოხერხდა, რაც უდანაშაულობის პრეზუმციის საკითხზე მიუთითებს. ამას გარდა, აპლიკანტები ჩივიან, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის II ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი. თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ სახელმწიფოს დაეკისრა 4.000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად.

• ლორდოსი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №15973/90

აღნიშნული საქმე ეხება 13 აპლიკანტის განაცხადს იმის თაობაზე, რომ 1974 წელს თურქეთის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპაციის შედეგად გამოწვეული კონფლიქტის გამო მათ ჩამოერთვათ საკუთარი სახლები და მიწის ნაკვეთები. თავის ძირითად გადაწყვეტილებაში, რომელიც სასამართლომ 2010 წლის 2 ნოემბერს გამოიტანა, დაადგინა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის დარღვევა რვა განმცხადებლის საქმეზე, ხოლო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა – შვიდი განმცხადებლის საქმეზე.

თავის ამჟამინდელი განჩინებით სასამართლომ თითოეულ აპლიკანტს მიანიჭა 100.000 ევროდან 8.000.000 ევრომდე ოდენობის თანხა მატერიალური და არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 15.000 ევრო ერთობლივად თითოეული აპლიკანტის ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

ანალოგი საქმეები

- *ჰუსეინ იოზელი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №2917/05*
- *კირანი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №23321/09*
- *სერაპ დემირჩი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №316/07*

განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ მათ შეეზღუდათ თურქეთის სასამართლოებისათვის კომპენსაციის მოთხოვნით მიმართვის უფლება, რადგან უარი ეთქვათ იურიდიულ დახმარებაზე. განმცხადებლები ჩივიან, რომ მათ მიმართ დარღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სამივე საქმეზე სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა.

გაჭიანურებით განხილული საქმეების თაობაზე

- *ფერგადიოტი-რიზაკი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №370/09*
- *ნაკა საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №33585/09*
- *თეოდორაკისი და თეოდორაკის-ტურიზმი და სატუმროები S.A. საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი 57713/09*
- *ვიუტირასი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54391/08*

სასამართლომ ოთხივე საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილის დარღვევა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ფერგადიოტი-რიზაკი საბერძნეთის წინააღმდეგ და ვიუტირასი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ – საქმეებზე დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

- *გეტიმისი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №58040/09*
- *იუსუფი საბერძნეთის წინააღმდეგ – განაცხადი №4767/09*

აღნიშნულ საქმეებზე, რომლებიც ერთ შემთხვევაში თაღლითობას, გაყალბებასა და საკუთრების უკანონოდ მითვისებას ეხება, ხოლო მეორეში – ნარკოტიკებს, სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე საქმეზე დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო გეტიმისი საბერძნეთის წინააღმდეგ საქმეზე ასევე დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა.